ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

2017 წლის 7 ივლისს 17 საათზე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ შედეგების შემაჯამებელ ღონისძიებას გამართავს.

პროექტი მიზნად ისახავდა აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირებას და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლებას რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

პროექტი ხორციელდებოდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.
პროექტის ამოცანები იყო:

- აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებულ სოციალურ სახლებში მცხოვრები ეკომიგრანტების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია;
- მიგრანტების სტიქიური ჩასახლების ადგილებში ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბება, მათი რესოციალიზაციის ხელშეწყობა;
- დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტების (მათ შორის ქალების) ისეთი ჯგუფების მხარდაჭერა, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა დაიწყონ ბიზნესი საქართველოში, ჩაერთონ საკუთარი მუნიციპალიტეტებისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში „ინტელექტი“ აჭარაში მცხოვრებ ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს სთავაზობდა უფასო პროფესიულ სწავლება-გადამზადებას, უფასო იურიდიულ კონსულტაციას და მცირე ბიზნესის დაწყება-განვითარებისთვის გრანტებს.

პროექტის განმავლობაში დაფინანსდა 19 მცირე ბიზნესი და 2 სოციალური საწარმო. ორგანიზაციას პროფესიული სწავლების საგრანტო პროგრამით 142 კურსდამთავრებული ყავს და სასწავლო პროგრამებს კიდევ 40 ბენეფიციარი გადის. იურიდიულ კონსულტაციებით და სამართლებრივ დახმარებით 200-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა.

„ინტელექტის“ ხელშეწყობით პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ე.წ. „ოცნების ქალაქში“ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოცნების ქალაქი“, რომელიც იქ მცხოვრები მიგრანტების სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე იმუშავებს.

პროექტს პარტნიორობას უწევდა დემოკრატიის ინსტიტუტი და ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“

მისამართი: ქობულეთი, რუსთაველის ქ. N საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელ: (0422) 241640, 241650; 599 000 664; 592 571 800

ელ. ფოსტა: saloabuladze@intellect.org.ge

საკონტაქტო პირი: სალომე აბულაძე